განახლებულია 01.05.2026 წ.

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „განათლების ადმინისტრირება"/Master's Educational Program „Education Administration"**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**პირველი ნაწილი:** განათლების ადმინისტრირების მაგისტრი/Master of Education Administration **მეორე ნაწილი:** კვლევის მაგისტრი განათლების ადმინისტრირებაში/Research Master in Education Administration
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	პროფესორი ნანა მაკარაძე - nmakaradze@bsu.edu.ge ასოცირებული პროფესორი ქეთევან გოლეთიანი - ketevan.goletiani@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTS-მოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	**პირველი ნაწილი** - 60 ECTS **მეორე ნაწილი** - 60 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**პირველი ნაწილი:** ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: ინგლისური ენა - B2 დონე და სპეციალობა; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. **მეორე ნაწილი:** ✓ პროგრამის პირველი ნაწილი; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**პირველი/მეორე ნაწილი:** სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური ხელმძღვანელები განათლების ადმინისტრირების სფეროში, რომლებიც შეძლებენ: ✓ ორგანიზაციის მართვისა და ადმინისტრირების, განათლების სფეროს სამართლებრივი საფუძვლების, განათლების პოლიტიკის, დაფინანსების მოდელების, ხარისხის მართვისა და კვლევის მეთოდოლოგიის ღრმა და სისტემური ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას; ✓ ეროვნული და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის გამოწვევების შეფასებასა და საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების სტრატეგიის შემუშავებას თანამედროვე ტენდენციებისა და კვლევების გათვალისწინებით; ✓ ეროვნულ და საერთაშორისო კონტექსტში განათლების სფეროში მიღწეული შედეგების, არსებული გამოწვევების, პროფესიული განვითარების მიმართულებით საკუთარი და გუნდის წევრების

	მიღწევების ანალიზს და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების განხორციელებას პროფესიული ეთიკისა და სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინებით.
სწავლის შედეგები	**პირველი ნაწილი:** ✓ ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას განათლების სფეროს განვითარების საერთაშორისო და ადგილობრივი ტენდენციების, განათლების პოლიტიკის, საგანმანათლებლო ლიდერობის პრინციპების, ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მმართველობის სტრუქტურების, ადამიანური რესურსების მართვის თეორიების, ორგანიზაციული ქცევის, დაფინანსების მოდელებისა და სამართლებრივი ჩარჩოების, კურიკულუმის მოდელების, პროექტების მართვის, კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ; ✓ აფასებს განათლების სფეროს დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის მნიშვნელობას და რესურსების (ადამიანური, ფინანსური, მატერიალური) მართვის თავისებურებებს; ✓ წარმართავს კურიკულუმის განვითარებისა და შეფასების პროცესებს საგანმანათლებლო ლიდერობის პრინციპების დაცვით, განათლების სფეროში არსებული საერთაშორისო და ადგილობრივი ტენდენციების გათვალისწინებით; ✓ აფასებს განათლების სფეროს გამოწვევებს, გარე და შიდა ფაქტორების გავლენას ორგანიზაციის განვითარებაზე; შეიმუშავებს წინადადებებს/პროექტებს საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების სტრატეგიის, პოზიტიური ორგანიზაციული გარემოსა და კულტურის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების მიზნით; ✓ ორგანიზაციული და საგანმანათლებლო პროცესების განხორციელების/მართვის პროცესში იყენებს თანამედროვე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; ✓ აანალიზებს და აფასებს განათლების ადმინისტრირების სფეროში არსებულ გამოწვევებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიების გამოყენებით, ეთიკურ ნორმებზე დაყრდნობით; ✓ შეუძლია პროფესიული საქმიანობის განხორციელება პროფესიული ეთიკის, საზოგადოებრივი ინტერესების და დემოკრატიული ღირებულებების დაცვით, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპებისა და ინტერპერსონალური უნარების გამოყენებით. **მეორე ნაწილი:** ✓ ფლობს ღრმა და სისტემურ ცოდნას განათლების სფეროს განვითარების საერთაშორისო და ადგილობრივი ტენდენციების, განათლების პოლიტიკის, საგანმანათლებლო ლიდერობის პრინციპების, ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მმართველობის სტრუქტურების, ადამიანური რესურსების მართვის თეორიების, ორგანიზაციული ქცევის, დაფინანსების მოდელებისა და სამართლებრივი ჩარჩოების, კურიკულუმის მოდელების, პროექტების მართვის, კვლევის მეთოდოლოგიის შესახებ; ✓ აფასებს განათლების სფეროს გამოწვევებს, გარე და შიდა ფაქტორების გავლენას ორგანიზაციის განვითარებაზე; შეიმუშავებს წინადადებებს/პროექტებს საგანმანათლებლო დაწესებულების

	განვითარების სტრატეგიის, პოზიტიური ორგანიზაციული გარემოსა და კულტურის ჩამოყალიბებისა და შენარჩუნების მიზნით; ✓ აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით, მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს კვლევას, აყალიბებს დასკვნებს; ✓ აანალიზებს და აფასებს განათლების ადმინისტრირების სფეროში არსებულ გამოწვევებს, შეიმუშავებს რეკომენდაციებს გუნდური მუშაობისა და ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიების გამოყენებით, ეთიკურ ნორმებზე დაყრდნობით; ✓ შეუძლია პროფესიული საქმიანობის განხორციელება პროფესიული ეთიკის, საზოგადოებრივი ინტერესების და დემოკრატიული ღირებულებების დაცვით, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპებისა და ინტერპერსონალური უნარების გამოყენებით; ✓ უახლესი ინფორმაციისა და დარგში არსებული ტენდენციების გათვალისწინებით აანალიზებს და აფასებს საკუთარი და გუნდის პროფესიული განვითარების პროცესს და ახდენს შემენილი კომპეტენციების და პროფესიული უნარების გაუმჯობესებას.